ილჰამ ალიევი: "ჩვენ აზერბაიჯანი ყველანაირი საფრთხისგან დავიცავით"



"ჩვენ აზერბაიჯანი ყველანაირი რისკისგან, საფრთხისგან დავიცავით", - განაცხადა აზერბაიჯანის პრეზიდენტმა ილჰამ ალიევმა და აღნიშნა, რომ ბოლო ათი წლის განმავლობაში რეგიონსა და მსოფლიოში მომხდარი შემთხვევები აზერბაიჯანს კარგად ახსოვს: "სისხლიანი დაპირისპირებები, ომები, რევოლუციები, პოლიტიკური, ეკონომიკური, ფინანსური კრიზისები
- ეს ყველაფერი ჩვენს გარშემო მომხდარი შემთხვევებია. ჩვენ ჩვენი პოლიტიკით, აზერბაიჯანელი ხალხის და აზერბაიჯანის სახელმწიფოს ამ კატასტროფებისგან დაცვა შევძელით. ამდენად, ბოლო ათი წლის განმავლობაშიც აზერბაიჯანელი ხალხი მშვიდობიან და უსაფრთხო პირობებში ცხოვრობდა".